ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2018 წლის 30 იანვარი

ქ. ნინოწმინდა

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, საკრებულოს პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირება, აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები თანახმად დანართისა.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ივნისის ,,ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ” №8 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 30/06/2017, 190040000.35.142.016152).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სუმბატ კიურეღიანი**

დანართი

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოები და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირება

№	რანგირება	თანამდებობის დასახელება	რიცხოვნობა	თანამდებობრივი სარგო
1		საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირები	20	
		საკრებულოს თავმჯდომარე	1	3100
		საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	1	2000
		საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	1700
		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	6	1700

		საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	7	800
2		საკრებულოს აპარატი	5	
	I რანგი	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – აპარატის უფროსი	1	1500
	II რანგი	საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი – საორგანიზაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი	1	1200
	III რანგი	საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	1	700
		საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კადრებისა და საქმისწარმოების საკითხებში	1	700
		საჯარო დაწესებულების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო საკითხებში	1	700